გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 6

2024 წლის 12 იანვარი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს.კ 66.45.26.441 და ს.კ. 66.45.26.442) პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 03 ნოემბრის N N10/2023307315-20 განცხადებით, დადგა საკითხი, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს.კ 66.45.26.441 და ს.კ. 66.45.26.442) აღნაგობის ფორმით, 49 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. დაინტერესებულ მხარეს სურვილი აქვს ს.კ. 66.45.26.441 რეგისტრირებულ 2797.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოაწყოს: ბოულინგის დარბაზი, მინი კინოთეატრი, ბავშვთა დახურული გასართობი ცენტრი და საკონფერენციო დარბაზი. ხოლო, ს.კ. 66.45.26.442 რეგისტრირებულ 196.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოეწყობა ღია კაფის სივრცე.

აუდიტორული კომპანია შპს „კომპაუდის"-ს ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნებით:

1. 2023 წლის 06 დეკემბრის N458-ქ აუდიტორული დასკვნით, 2797.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ. 66.45.26.441, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 275 000.00 (ორასსამოცდათხუთმეტი ათასი) ლარით.
2. 2023 წლის 06 დეკემბრის N459-ქ აუდიტორული დასკვნით, 196.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ. 66.45.26.442, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 12 500.00 (თორმეტი ათასხუთასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი აღნაგობის ხელშეკრულებით გაცემის

შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება შესაბამისი თანხით და ქალაქის განვითარებისთვის მითითებული ობექტების ფუნქციონირება დადებითად აისახება.

აღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მითითებული ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი და საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, აღნაგობის უფლებით, პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით გასცეს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

ა) ქალაქ გორში, გურამიშვილის ქ. N1-ში მდებარე 2797.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ. 66.45.26.441. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 275 000.00 (ორასსამოცდათხუთმეტი ათასი) ლარით, საწყისი წლიური აღნაგობის საფასური ნაკვეთზე განისაზღვროს: 14 400.00 (თოთხმეტიათას ოთხასი) ლარით;

ბ) ქალაქ გორში, გურამიშვილის ქ. N1-ში მდებარე 196.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ. 66.45.26.442. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 12 500.00 (თორმეტი ათასხუთასი) ლარით, საწყისი წლიური აღნაგობის საფასური ნაკვეთზე განისაზღვროს: 1 200.00 (ათასორასი) ლარით;

2. აღნაგობის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით.

3. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი:

ა) 2797.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 66.45.26.441) 2 წლის ვადაში აშენდეს და დაიწყოს ფუნქციონირება: ბოულინგის დარბაზმა, მინი კინოთეატრმა, ბავშვთა დახურულმა გასართობმა ცენტრმა და საკონფერენციო დარბაზმა. მშენებლობის პროექტი შეთანხმებულ იქნას, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის განყოფილებასთან.

ბ) 196.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 66.45.26.442) 2 წლის ვადაში მოეწყოს და დაიწყოს ფუნქციონირება ღია კაფის სივრცემ. მშენებლობის პროექტი შეთანხმებულ იქნას, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის განყოფილებასთან.

გ) მიწის ნაკვეთზე ხაზოვანი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, აღნაგობის უფლების მქონე პირზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ.

დ) აღნაგობის უფლების მქონემ 6 თვის ვადაში უზრუნველყოს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.26.271 – 7608.00 კვ.მ.), საფეხბურთო მოედანზე ხელოვნურსაფარიანი საფარის შეცვლა და შემდგომ ქონების მოვლა-პატრონობა, უზუფრუქტუართან ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ გორთან (ს/ნ 417874973) შეთანხმებით.

ე) აღნაგობის უფლების მქონემ უზრუნველყოს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.26.062, ს.კ. 66.45.26.055 და ს.კ. 66.45.26.067) მოვლა-პატრონობა, უზუფრუქტუართან ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ გორთან (ს/ნ 417874973) შეთანხმებით.

4. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

5.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე